



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS



საკრედიტო ბარათები საქართველოში



www.sab.ge

საკრედიტო ბარათები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკაში, კომერციული ბანკები, ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სექტორია, ამის მიზეზს კი მნიშვნელოვან წილად საბანკო პროდუქტების მრავალფეროვნება განაპირობებს.

საკრედიტო ბარათი, რომელიც სხვა საბანკო პროდუქტებს შორის, გაყიდვების კუთხით მეორე ადგილზეა, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საბანკო პროდუქტია საქართველოში. საკრედიტო ბარათი არის ორი საბანკო პროდუქტის - პლასტიკური ბარათისა და სამომხმარებლო სესხის გაერთიანება. ეს არის პლასტიკური ბარათი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს საბანკო კრედიტით შეიძინოს საქონელი ან მომსახურება სავაჭრო ობიექტში, ინტერნეტით, და/ან გაანაღდოს კრედიტის თანხა. დღესდღეობით მიმოქცევაში, ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით 1.5 მლნ ბარათია. იმის გამო, რომ მომხმარებლებს ყველაზე მეტი პრობლემები სწორედ ამ საბანკო პროდუქტით სარგებლობის დროს ექმნებათ, არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება და ბანკები“, გადამწყვიტა ჩაეტარებინა კვლევა საკრედიტო ბარათების პირობებთან დაკავშირებით.

1. საქართველოს ბანკი: 2007 წელს საქართველოს ბანკი პირველი იყო, რომელმაც მომხმარებელს საკრედიტო ბარათი „ორენჯ ქარდი“ (Orange Card) შესთავაზა. ამ ბარათით დაახლოებით მომხმარებლების 70-80 % სარგებლობდა. Orange Card-ის პირობები ასე გამოიყურებოდა:

ცხრილი 1.

ლიმიტის მოქმედების ვადა	უვადო
მაქსიმალური ლიმიტი	1500 აშშ დოლარი
წლიური მომსახურების საკომისიო	20 აშშ დოლარი; 30 აშშ დოლარი
თვიური %	0%; 2.4 %; 3 %
საშელავათო პერიოდი	30 დღე
განაღდების საკომისიო	3.9%; 4.5%

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ბარათს საკმაოდ კარგი პირობები ჰქონდა, განაღდების საკომისიო არ იყო ასეთი მაღალი, სტანდარტულად 0.2%, ასევე წლიური საკომისიო 20-30 აშშ დოლარი იყო (დამოკიდებული იმაზე თუ რა ოდენობის ლიმიტი იყო დაშვებული), რაც შეეხება ყოველთვიურ დარიცხულ პროცენტს, ეს დამოკიდებული იყო იმაზე თუ როგორ გამოვიყენებდით ბარათს - თუ ხდებოდა თანხის ბანკომატის მეშვეობით განაღდება 3% იყო, პოს ტერმინალით ოპერაციაზე 2.4%, ხოლო თუ გახარჯულ თანხას საშელავათო პერიოდის განმავლობაში (30 დღე) შევავსებდით, არანაირი პროცენტის გადახდა არ მოგვიწევდა.

2009 წლიდან საქართველოს ბანკმა, Orange Card საერთაშორისო საკრედიტო ბარათით „ამერიკან ექსპრესით“ (American Express) ჩაანაცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ „ამერიკან ექსპრესი“ (American Express) ამერიკული ბარათია და მსოფლიო დონის ბარათად ითვლება, საქართველოში მისი პირობები ძალიან შორს არის ევროპისა და ამერიკის ბანკების პირობებისგან. არსებობს American Express საკრედიტო ბარათის 4 ტიპი :



American Express Blue; American Express Green; American Express Gold და American Express Reward Card, რომელიც წარმოადგენს სადებეტო ბარათს. რაც შეეხება საკრედიტო პირობებს, მიუხედავად ბარათის ტიპებისა, პირობები თითქმის იდენტურია და ასე გამოიყურება:

ცხრილი 2:

ლიმიტის მოქმედების ვადა	უვალო
მაქსიმალური ლიმიტი	20 000 ლარი
წლიური მომსახურების საკომისიო	25; 85; 180 ლარი
წლიური %	18 – 36%
საშეღავათო პერიოდი	55 დღე
განაღდების საკომისიო	3.9%; 4.9%

როგორც ვხედავთ American Express საკმაოდ ძვირიანი პროდუქტია. მისი საკრედიტო ლიმიტი 500 ლარით იწყება (American Express Blue) და 20000 ლარამდე აღის (American Express Gold), ასევე განსხვავებულია წლიური საკომისიო ბარათის ტიპის მიხედვით. ცხრილი 2-დან ჩანს, რომ American Express Gold ბარათზე საკომისიო წელიწადში 180 ლარს შეადგენს, Green-ზე 85 ლარს, ხოლო Blue-ზე 25 ლარს. რაც შეეხება წლიურ პროცენტს, ისინი თითქმის იდენტურია - ბანკომატით განაღდებულ თანხაზე წლიური 36%, ხოლო პოს ტერმინალებში შესრულებულ ოპერაციებზე 18-დან 22%-მდე მერყეობს. საშეღავათო პერიოდი და განაღდების საკომისიოები ყველა ბარათს ერთი და იგივე აქვს.

მეორე მხრივ, American Express ბარათებს დადებითი მხარეებიც აქვს. მაგალითად სისტემა - Membership Reward, რაც გულისხმობს ქულების დაგროვების სისტემას. (მომხმარებელი ავტომატური დარეგისტრირების შემდეგ, აგროვებს ქულებს და ცვლის სხვადასხვა საჩუქრებში). ასევე Selects სისტემა, რომელიც მომხმარებლებს მსოფლიო მასშტაბით, სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში ფასდაკლებებს სთავაზობს. და ბოლოს, cash back სისტემა, რომლის მიხედვითაც American Express ბარათით დახარჯული თანხის გარკვეული პროცენტი უკან ბრუნდება.

2. თიბისი ბანკი: 2007 წელს Orange Card-თან ერთად ბაზარზე TBC Card საკრედიტო ბარათი გამოჩნდა, რომელსაც თითქმის იდენტური პირობები ჰქონდა და სხვაობა მხოლოდ საშეღავათო პერიოდში იყო - 55 დღის განმავლობაში თუ მოხდებოდა ათვისებული თანხის სრულად დაფარვა, სესხზე პროცენტი არ ირიცხებოდა. ამის შემდეგ თიბისი ბანკმა მომხმარებლებს კიდევ ერთი საკრედიტო ბარათი შესთავაზა - ე.წ. განვადების ბარათი, რომელიც მომხმარებელს ავტომატურად უმტკიცებოდა განვადებით სარგებლობის შემთხვევაში. მისი დანიშნულება ბაზარზე განვადების ჩანაცვლება იყო და კარგი პირობებიდან გამომდინარე დიდი ინტერესიც დაიმსახურა:



ლიმიტის მოქმედების ვადა	58 თვე
მაქსიმალური ლიმიტი	3000 ლარი
წლიური მომსახურების საკომისიო	20 ლარი
წლიური %	16 – 36%
საშელავათო პერიოდი	0 დღე
განაღდების საკომისიო	3%

ამ ბარათის დადებით მხარეა ე.წ. ანუიტეტური დაფარვის გრაფიკი, რომელიც 10 თვის ვადით დგება. მის განმავლობაში მომხმარებელს SMS-ის სახით მისდის ყოველთვიური გადასახდელი თანხის რაოდენობა. უარყოფითი მხარე კი არის აუცილებელი მოთხოვნა, რომლის მიხედვით ვალდებულება ზუსტად 10 თვის ვადაში უნდა დაიფაროს, ხოლო ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის წინსწრების 2% საკომისიოს.

განვადების ბარათს არ აქვს ე.წ. საშელავათო პერიოდი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მისი დანიშნულება განვადების პროდუქტის ჩანაცვლება იყო, რაც თიბისი ბანკს მეტნაკლებად გამოუვიდა. თუმცა განვადების, როგორც პროდუქტის უპირატესობა ამ ბარათთან მიმართებაში ის არის, რომ ამ დროს შესაძლებელია ვალდებულების მეტ ვადაზე გადანაწილება და შესაბამისად, ყოველთვიური გადასახდელიც მცირეა, მაგრამ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ რაც უფრო მეტ ვადაზე ვაკეთებთ სესხს ზედმეტად გადახდილი თანხაც იმატებს, რადგან ბანკს უფრო მეტ თანხას ვუხდით. სწორედ ამიტომ არის კარგი, რომ ამ ბარათზე ათვისებული თანხის გადანაწილება ხდება აუცილებელი წესით - 10 თვეზე.

ამის შემდეგ თიბისი ბანკმა მომხმარებელს სრულიად ახალი საკრედიტო ბარათი TBC Prime Card შესთავაზა. ამ ბარათის პირობები მიახლოებულია სტანდარტული საკრედიტო ბარათების პირობებთან, თუმცა მას გარკვეული უპირატესობები მაინც აქვს:

ცხრილი 4

ლიმიტის მოქმედების ვადა	უვადო
მაქსიმალური ლიმიტი	ინდივიდუალურად
წლიური მომსახურების საკომისიო	40 ლარი; 100 ლარი
წლიური %	16 – 36%
საშელავათო პერიოდი	55 დღე
განაღდების საკომისიო	2.9%; 3.9%

TBC Prime Card 2 სახის არის: Prime Cash და Prime Shop. კარგია, რომ ბარათი მორგებულია კონკრეტულად მომხმარებელზე, იმის მიხედვით თუ რა დანიშნულებით გვინდა ბარათით სარგებლობა. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს Prime Shop-ის დანიშნულებაა „შოპინგი“, თუ ამ ბარათით



ვისარგებლებთ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში და ონლაინ მაღაზიებში, არანაირი საკომისიო არ ჩამოგვეჭრება. ამასთან წლიური საპროცენტო განაკვეთია 16% იქნება. რაც შეეხება Prime Cash-ს, ეს ბარათი მორგებულია მომხმარებლებზე, რომლებსაც სურთ ნაღდი ანგარიშსწორება. მართალია წლიური საპროცენტო განაკვეთი ამ ბარათზე საკმაოდ მაღალია - 36%, სამაგიეროდ განაღდების საკომისიო შედარებით დაბალი - 2.9%-ია. ამას გარდა Prime Card ერთადერთი ბარათია TBC ბანკის საკრედიტო ბარათებს შორის, რომელის საშუალებითაც ვსარგებლობთ ფასდაკლებებით სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში, ასევე მას აქვს თანხების უკან დაბრუნების - Cash back სისტემა.

3. ლიბერთი ბანკი: საკრედიტო ბარათების მრავალფეროვნებით ლიბერთი ბანკიც გამოირჩევა და ბოლო პერიოდში, ამ მიმართულებით საკმაოდ მაღალი გაყიდვების აქტივობაც შეინიშნება. ლიბერთი ბანკი მომხმარებლებს 3 სახის საკრედიტო ბარათს სთავაზობს: Magic Card, Shopping Card და Teachers Card. ამ ბარათებს შორის ყველაზე გაყიდვადი Magic Card-ია, რომლის პირობები ასე გამოყურება:

ცხრილი 5:

ლიმიტის მოქმედების ვადა	72 თვე
მაქსიმალური ლიმიტი	5000 ლარი
წლიური მომსახურების საკომისიო	20 ლარი
წლიური %	24 - 36%
საშეღავათო პერიოდი	55 დღე
განაღდების საკომისიო	3%

Magic Card-ის პირობები სხვა ბანკების საკრედიტო ბარათების პირობებთან დაახლოებულია, თუმცა პატარა განსხვავება მაინც შეინიშნება.

ლიმიტის მაქსიმალური მოცულობა 5000 ლარს შეადგენს, რაც შეეხება სესხის თანხას ის მომხმარებლის შემოსავლის ორმაგ ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს. ეს ბარათის დადებით მხარეზე მიუთითებს, რადგან მსესხებლის გადახდის შესაძლებლობის ალბათობა უფრო დიდია და მას ნაკლები პრობლემა ექმნება სესხის დაფარვასთან დაკავშირებით. ასევე, დადებითი ფაქტია ის, რომ სხვა საკრედიტო ბარათებთან შედარებით Magic Card-ის წლიური საკომისიო ორჯერ ნაკლებია.

Shopping Card-ის წლიური საპროცენტო განაკვეთი 26%-ია და ის საინტერესო თვისებებით გამოირჩევა. მაგალითად ამ ბარათით შეუძლებელია თანხის განაღდება ბანკომატის მეშვეობით. ის განკუთვნილია მხოლოდ სავაჭრო ობიექტებში პოს ტერმინალით სარგებლობისათვის. ერთი შეხედვით მომხმარებლებს შეზღუდული აქვთ ბარათის ფუნქციები, თუმცა ეს შეზღუდვა დადებითად მოქმედებს უნაღდო ანგარიშსწორების წახალისებაზე, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს.

რაც შეეხება Teachers Card-ს, ის მხოლოდ მასწავლებლებისთვის არის შექმნილი. ლიბერთი ბანკი მათ ძალიან კარგ პირობებს სთავაზობს, რომელშიც გამოყოფილია განაღდების საკომისიოს - 1 %, რომელიც ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთია საბანკო სივრცეში, ასევე წლიური საკომისიო, რომელიც მინიმალურია სხვა ბანკების შეთავაზებებს შორის.



- 4. პრივატ ბანკი:** კიდევ ერთი ბანკი, რომელსაც საკრედიტო ბარათების გაყიდვების კუთხით საკამოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს, არის პრივატბანკი. ისინი მომხმარებლებს 2 ტიპის ბარათს სთავაზობენ: ე.წ. უნივერსალური ბარათი, რომელსაც მომხმარებლები უფრო „მარწყვი ბარათის“ სახელით იცნობენ და Gold ბარათი, „მარწყვი ბარათის“ და Gold-ის პირობები დაახლოებით იდენტურია, განსხვავება გაცემის მაქსიმალურ ლიმიტებშია: „მარწყვი ბარათი“ - 2000 ლარი, ხოლო Gold ბარათზე 4000 ლარი. რაც შეეხება წლიურ საკომისიოს, როგორც ბანკში აცხადებენ, ამ ბარათებს არ აქვს წლიური მომსახურების საკომისიო, თუმცა Gold ბარათის შემთხვევაში ის ჩანაცვლებულია ე.წ. კლუბის წევრობის საკომისიოთი, რომელიც თვეში 4 ლარს შეადგენს, რაც წლიურად 48 ლარია. განმასხვავებელი ფაქტორი სხვა ბანკის ბარათებისგან არის, ის რომ წლიური პროცენტი, დამოუკიდებლად იმისა, თანხა სად არის გახარჯული - ბანკომატით თუ ტერმინალით, არის 27.6% (Gold) და 30% (უნივერსალური). სხვა დანარჩენი პირობები: საშელავათო პერიოდი, განაღდების საკომისიო არის იგივე, რაც სხვა ბანკების ბარათების შემთხვევაში.
- 5. ბანკი რესპუბლიკა:** ბანკი რესპუბლიკა მომხმარებლებს საკრედიტო ბარათს ე.წ. Dream card-ს სთავაზობს, რომელიც 3 ტიპისაა : Visa Electron; Visa Classic; Visa Gold; პირობები ბარათის ტიპზეა დამოკიდებული. რაც უფრო მაღალი კლასის არის ბარათი, მით უფრო კარგი პირობები მოქმედებს მასზე. მათი საკრედიტო ლიმიტი 1000 ლარიდან 15 000 ლარამდე მერყეობს, ხოლო წლიური მომსახურების საკომისიო ბარათის ტიპის მიხედვით - 25 ლარი, 40 ლარი და 120 ლარია. ბარათების წლიური საპროცენტო განაკვეთი პოს ტერმინალებში ათვისებულ თანხაზე 18%-22%-ის შუალედში მერყეობს. ამ ბარათების საერთო ნიშანი არის ბანკომატით სარგებლობის დროს გადახდილი წლიური 36% და საშელავათო პერიოდი, რომელიც ყველას საერთო აქვს და ის 55 დღეს შეადგენს. ბანკ რესპუბლიკის საკრედიტო ბარათებს სხვა მსგავს საკრედიტო პროდუქტებთან შედარებით რამდენიმე განსხვავებული თვისება აქვს: 1. საკრედიტო ლიმიტი მაქსიმუმ 1 წელია და ამ ვადის გასვლის შემდეგ აუცილებელია ხელახლა ლიმიტის დამტკიცება, რაც საკმაოდ დიდი დისკომფორტია მომხმარებლებისთვის. 2. თუ მომხმარებელი სხვა ბანკის პოს ტერმინალის მეშვეობით გამოიყენებს ბარათს, ის თანხის 4,5%-ს საკომისიოს სახით იხდის.
- 6. ბაზის ბანკი:** ბაზის ბანკი მომხმარებლებს ე.წ. „მეგობარათს“ სთავაზობს. ეს საკრედიტო ბარათი საკმაოდ დიდი ხანია არსებობს ბაზარზე და მომხმარებლებში პოპულარობით სარგებლობს. ბარათის პირობები ძველი სტანდარტებით არის შენარჩუნებული, რაც გულისხმობს, რომ საშელავათო პერიოდი 55 დღის ნაცვლად არის 30 დღე, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება ყოველთვიურად, ათვისებული თანხის 1.5%-ით (მიუხედავად იმისა თანხა ბანკომატით არის ათვისებული, თუ პოს ტერმინალით). განაღდების საკომისიო ბარათს ყველაზე მაღალი - 4.5% აქვს. ბარათის საკრედიტო ლიმიტი ინდივიდუალურად დგინდება და მისი მოქმედება უვადოდ განისაზღვრება.
- 7. კორ სტანდარტ ბანკი:** NEXT Card კორ სტანდარტ ბანკის ახალი საკრედიტო პროდუქტია, რომელიც საინტერესო პირობებით გამოირჩევა. მისი ლიმიტი 2000-დან 5000 ლარამდე მერყეობს, მოქმედების ვადა არის 2 წელი, განაღდების საკომისიო 3%-ია, მომსახურების წლიური საკომისიო 35 ლარს, ხოლო საშელავათო პერიოდი 55



დღეს შეადგენს. ამ ბარათს სხვა საკრედიტო ბარათების მსგავსი პირობები აქვს, თუმცა განსხვავება მაინც შეიძლება გამოვყოთ: NEXT Card ის წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 29% ყველა შემთხვევაში - თანხა პოს ტერმინალით არის ათვისებული, თუ ბანკომატით. ერთი ყველაზე განმასხვავებელი ნიშანი, რაც ამ საკრედიტო ბარათს აქვს არის პოს ტერმინალით სარგებლობის დროს დაბრუნებული თანხის 1% (მინიმალური დახარჯული თანხა \$20-ს უნდა შეადგენდეს)

დასკვნა:

საკრედიტო ბარათები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ ძვირი საბანკო პროდუქტია საქართველოში. „საზოგადოება და ბანკების“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში 21 კომერციული ბანკიდან მხოლოდ 8 ბანკი უშვებს საკრედიტო ბარათებს.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, ყველა ბანკს საკრედიტო ბარათებზე თითქმის ერთნაირი პირობები აქვს: საშუალოდ განაღდება საკომისიო 3-4%-მდე მერყეობს (თუმცა არის გამონაკლისიც), საშეღავათო პერიოდი იდენტურია - 55 დღე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 18%-დან 36%-მდე მერყეობს (ეს თანხის განაღდებას მეთოდზე არის დამოკიდებული). აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ბანკის ბარათს აქვს გარკვეული შეღავათები და ქულების დაგროვების სისტემები, რაც ხელს უწყობს უნაღდო ანგარიშსწორების წახალისებას.

საკრედიტო ბარათები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით ძალიან გავრცელებული და პოპულარული პროდუქტია, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათი პირობები მოქნილი და მაქსიმალურად მორგებულია მომხმარებელზე. დაგროვების სისტემა, რომელიც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბევრად გამართული და ლოიალურია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საზღვარგარეთ ამ ბარათების რეალური დანიშნულება არის „შოპინგი“. იშვიათად თუ ვნახავთ ადამიანს, რომელიც საკრედიტო ბარათიდან ნაღდი ფული გამოაქვს, მომხმარებელთა დაახლოებით 90% ორიენტირებულია უნაღდო ანგარიშსწორებაზე. სამწუხაროდ საქართველოში განსხვავებული სურათია - ქართველი მომხმარებლის უმრავლესობა საკრედიტო ბარათს იყენებს თანხის გასანაღდებად. ისინი ვერ აცნობიერებენ რომ, საკრედიტო ბარათის ასეთი სახით გამოყენება ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ბანკომატით განაღდებას დროს განაღდებას თანხის საშუალოდ 4%-ის გადახდა გვინევს, ამას ემატება წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ამ შემთხვევაში 36% იქნება.

ამას გარდა აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საკრედიტო ბარათები ერთი-ერთი ყველაზე პრობლემური პროდუქტია საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნა 2014 წლის მაისის მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 1,5 მლნ საკრედიტო ბარათია მიმოქცევაში. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რადგან თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა 4, 490 მლნ ადამიანია, გამოდის რომ საშუალოდ ყოველ მესამე ადამიანს აქვს საკრედიტო ბარათი. საკრედიტო ბარათების ბუმი საქართველოს ბანკის „Orange Card“-ით დაიწყო და პრივატ ბანკის „მარწყვი ბარათით“ გაგრძელდა. ბარათების გაცემა გამართივებული პროცედურით ხდებოდა. განსაკუთრებულ ლოიალურობას ავლენდა პრივატ ბანკი, რომელიც ფაქტობრივად ყოველგვარი ინფორმაციის გადამოწმებისა და რისკების შეფასების გარეშე გაცემდა საკრედიტო ბარათებს. ბარათები გაიცემოდა როგორც უმუშევარ ადამიანებზე ასევე ხშირ შემთხვევაში სტუდენტებზეც კი, საკმარისი იყო განაცხადში მიგეთითებინა გამოგონილი ორგანიზაცია, სადაც თითქოსდა მუშაობდი და საკრედიტო ბარათი მტკიცდებოდა. ამ ბარათის გაცემაზე ბანკი უარს არავის ეუბნებოდა, რადგან უარყოფითი პასუხიც კი იყო 50 ლარიანი საკრედიტო ლიმიტის დამტკიცება, რომლის გაზრდა 1 თვეში 1000 ლარამდე იყო



შესაძლებელი. დღესდღეობით „კრედიტ ინფო საქართველოს“ ნეგატიურ ბაზაში მოხვედრილ მომხმარებელთა უმრავლესობა სწორედ საკრედიტო ბარათების დამსახურებაა. სიტუაცია შედარებით გამოსწორდა ბოლო წლებში და ბანკებმა გაამკაცრეს საკრედიტო ბარათების გაცემა, მაგრამ მაინც ის, განვადებასთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი საბანკო პროდუქტია. საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება და ბანკები“ შეიმუშავა რამდენიმე რეკომენდაცია ქართული კომერციული ბანკებისთვის და მომხმარებლებისთვის:

- ბანკები უფრო მკაცრად უნდა მოეკიდონ მომხმარებლებზე საკრედიტო ბარათების დამტკიცების პროცედურებს;
- სასურველია რომ, შეზღუდული იყოს ერთ მომხმარებელზე სხვადასხვა ბანკის საკრედიტო ბარათის გაცემა;
- ბანკებმა უფრო მეტად უნდა გაამკაცრონ საკრედიტო ბარათის ლიმიტის განსაზღვრის სისტემა;
- მომხმარებლებმა კარგად განსაზღვრონ თავისი ფინანსური შესაძლებლობები;
- უნდა გაითვალისწინონ შესაძლო სამომავლო ხარჯები;
- სასურველია რომ, ერთი ოჯახის წევრის შემოსავლის არაუმეტეს 35%-ისა იყოს მიმართული სესხების ყოველთვიურ გადასახდელებში;
- მომხმარებლები უნდა ეცადონ, რომ საკრედიტო ბარათებით ისარგებლონ მხოლოდ პოსტტერმინალების მეშვეობით და არ გაანაღდონ ბანკომატებიდან;
- მომხმარებლებმა საშეღავათო პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.



